



Research

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი (IV კვარტალი, 2021)

მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ

გამოცემა 16 | 3.12.2021


საქართველოს ეკონომიკური კლიმატი PMC კვლევითი ცენტრის პროდუქტია. ბიულეტენში განვიხილავთ ქართველი ეკონომისტების მიერ შეფასებულ საქართველოს ეკონომიკურ კლიმატს. ბიულეტენი ემყარება Ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას. საქართველოდან ინიციატივაში 60 ექსპერტი მონაწილეობს. კვლევა ჩატარდა 2021 წლის ნოემბერში.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, 2021 წლის მეოთხე კვარტალში, საქართველოს ეკონომიკური კლიმატი გაუმჯობესდა, როგორც 2021 წლის მესამე კვარტალთან ასევე, 2020 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით.

2021 წლის მეოთხე კვარტალში ქართველი ეკონომისტების მიერ მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება დადებითი და გაუმჯობესებულია როგორც წინა კვარტალთან, ასევე, გასული წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით.

მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის მსგავსად, ქართველ ეკონომისტებს დადებითი მოლოდინი აქვთ საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებითაც. აღსანიშნავია, რომ მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია 2021 წლის მესამე კვარტალში და 2020 წლის მეოთხე კვარტალში არსებულ მოლოდინთან შედარებით.

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



დამატებით, გამოკითხვის ფარგლებში, ექსპერტებმა გააკეთეს პროგნოზი საქართველოს ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე. შედეგების მიხედვით, რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 2021 წელს 8.6%-ს შეადგენს. სხვა ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი შემდეგნაირია:



- მოსალოდნელია ინფლაციის ზრდა შემდეგ 6 თვეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით;



გაცვლითი კურსი

- ქართული ლარი ამჟამად არის შესაბამის დონეზე ევროს, თურქული ლირას და რუსული რუბლის მიმართ და ნაკლებად არის შეფასებული აშშ დოლარის მიმართ;



ვაჭრობის მოცულობა

- მოსალოდნელია ექსპორტის მოცულობის ზრდა უახლოეს ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით;
- მოსალოდნელია იმპორტის მოცულობის ზრდა უახლოეს ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით;
- ექსპორტის მოცულობა სავარაუდოდ გაიზრდება უფრო მეტად, ვიდრე იმპორტის მოცულობა, რაც გამოიწვევს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას მომდევნო ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით.

დამატებითი შეკითხვები

2021 წლის მეოთხე კვარტალში ქართველმა ეკონომისტებმა შეაფასეს სხვადასხვა საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკაზე, მათ შორის ფულადი გზავნილების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების საკითხი, მონეტარული პოლიტიკა, ინფლაცია და ა.შ.

ექსპერტებმა, ასევე, შეაფასეს ისეთი ფაქტორების რელევანტურობა, რომელთაც შეიძლება გამოეწვიოს 2021 წლის პირველ 9 თვეში ფულადი გზავნილების შემოდინების მაღალი ზრდა (28% 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით). გამოკითხულთა ნახევარს რელევანტურ მიზეზად მიაჩნია ის, რომ აღამიანებმა შეცვალეს წინა-პანდემიური ჩვევები და ფულადი გზავნილების გაგზავნისთვის ონლაინ პლატფორმების გამოყენება უფრო ხშირად დაიწყეს. გამოკითხულთა 60 % კი მიიჩნევს, რომ ის რომ საზღვარგარეთ მომუშავე ქართველებს არ შეუძლიათ ქვეყანაში ჩამოსვლა და ქვეყანაში ფულის ფიზიკურად შემოტანა, ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანი მიზეზია.

ეკონომისტებს, ასევე, სთხოვეს შეეფასებინათ იმ ფაქტორების რელევანტურობა, რომლებიც ხელს უშლიან ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაკადების შემოდინებას, მიუხედავად იმისა რომ საქართველო მონიშნავს პოზიციებს იკავებს ბიზნესის კეთების სიმარტივისა და ინვესტიციებისადმი ღიაობის საერთაშორისო რეიტინგებში. პოლიტიკური არასტაბილურობა რელევანტურ ფაქტორად მიიჩნია 60%-მა, ეკონომისტთა ნახევარმა ხაზი გაუსვა კომპეტენტური მუშახელის ნაკლებობას, ხოლო გამოკითხულთა 40%-მა ხაზი გაუსვა გაცვლითი კურსის ცვალებადობას და ინვესტორების უნდობლობას სასამართლო სექტორის კომპეტენციისა და დამოუკიდებლობის მიმართ.

ეკონომისტთა 60% ეთანხმება საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას მკაცრი მონეტარული პოლიტიკის მენარჩუნებისა და რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად, 10%-ზე დატოვების შესახებ, რომელიც 2021 წლის 27 ოქტომბერს გამოცხადდა. ამასთანავე, 80% ფიქრობს, რომ სუბ-ის მოლოდინი, რომ ინფლაცია მიზნობრივ ნიშნულზე დაბრუნებას 2022 წლის მეორე კვარტალში დაიწყებს, ნაწილობრივ ან მთლიანად რეალისტურია.

ეკონომისტებს, ასევე, სთხოვეს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოლოდინები იმ ძირითადი რისკ-ფაქტორების მატერიალიზაციის შესაძლებლობის შესახებ, რომლებიც საქართველოს მთავრობის თანახმად გავლენას ახდენენ 2022-2025 წლებში საქართველოს ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლებზე. 40% ფიქრობს, რომ COVID-19-ის პანდემიის გაუარესებას, სხვა რისკ-ფაქტორებთან შედარებით, ყველაზე მაღალი მატერიალიზაციის ალბათობა აქვს. რეგიონული რისკები (ეკონომიკური დივერსიფიკაციის დაბალი დონით, გაყინული კონფლიქტებით, შიდაპოლიტიკური პრობლემებით და არასტაბილურობით, ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური არეულობა) მატერიალიზაციის ყველაზე მაღალი ალბათობის მქონე ფაქტორად ეკონომისტთა 40%-ის მიერ შეფასდა. გამოკითხულთა ნახევარი თვლის, რომ გლობალური მომხმარებლების ქცევას (მოთხოვნის შემცირება) მატერიალიზაციის ყველაზე დაბალი ალბათობა აქვს.

მეთოდოლოგია
 ინდექსი იმყარება მიმდინარე ინდექსი იმყარება მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის კვარტალურ ექსპერტულ შეფასებებს, ასევე, მომავალი ექვსი თვის მოლოდინს. მასშტაბი მერყეობს -100 ქულიდან +100 ქულამდე. -100 ინდექსი ნიშნავს, რომ ყველა ექსპერტი აფასებს ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც გაუარესებას (უარყოფით), ხოლო +100 ინდექსით გაუმჯობესებას (დადებით), 0 კი ნიშნავს ნეიტრალურს / უცვლელს

ინდიკატორები	2018	2019	2020	2021 Q1	2021 Q2
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17 596.6	17 470.7	15 888.1*	3 400*	4 782.7*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე(აშშ დოლარი)	4 722.0	4 696.2	4 274.6*	912.5*	1 282.7*
მშპ რეალური ზრდა (%)	4.8%	5.1%	-6.2%*	-4.5%*	29.9%*
ინფლაცია	2.6%	4.9%	5.2%	4.5%	8.3%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 306.3	1 310.8	616.9*	125.4*	234.2*
უმუშევრობის დონე (%)	19.2%	17.6%	18.5%	21.9%	22.1%
საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 434	5 741	7 535	7 721	8 017
სიღარიბის დონე(ფარდობით)	22.3%	20.5%	19.7%	-	-

* Preliminary data